სარჩევი

რა არის ახალი 2

ავტორიზაციები საცალო ინტერფეისში 2

გასწორებული შეცდომები 4

სხვა მოდიფიკაციები 4

ბალანსის რელიზი_1.3.1.5

27.07.2022

რა არის ახალი

ავტორიზაციები საცალო ინტერფეისში

ბალანსში საცალო გაყიდვების დახვეწის მიზნით საცალო ინტერფეისში დაემატა ავტორიზაციები. ფუნქციონალი გულისხმობს მოლარეების უფლებების შეზღუდვას. საცალო ინტერფეისში ახლა უკვე შესაძლებელია მოლარეებს შეეზღუდოთ პოზიციის წაშლის, ჩეკის ანულირების, რაოდენობის შემცირების ან სხვა ოპერაციების უფლება დამატებითი ავტორიზაციის გარეშე.

ამისათვის მომხმარებლების აწყობებს დაემატა გაყიდვის აწყობის ღილაკი, რომლითაც შესაძლებელია სალარო აპარატებზე, რომელთა მენეჯერიც არის მომხმარებელი, მიეთითოს ავტორიზაციის პაროლი.



გაყიდვის აწყობებში ეთითება ყველა სალარო აპარატი, რომელზეც მომხმარებელს აქვს წვდომა და ავროტიზაციის პაროლი.

ავტორიზაციები ხელმისაწვდომია საცალო ინტერფეისში და არ გამოიყენება გაყიდვების დამხმარესა და რეალიზაციის დოკუმენტებში.

ავტორიზაციის ფუნქციონალის ჩართვა შესაძლებელია სალარო აპარატის ცხელი ღილაკების აწყობებში.



სასურველ ოპერაციებზე უნდა მოინიშნოს ალამი „ავტორიზაცია“.

ავტორიზაციების აწყობის შემდეგ საცალო ინტერფეისში შეზღუდული ოპერაციის განხორციელების დროს მომხმარებელს გამოუვა პაროლის შეყვანის ველი. პაროლის შეყვანის გარეშე ოპერაცია ვერ განხორციელდება.

პაროლის შეყვანა შესაძლებელია როგორც კლავიატურაზე აკრეფვით, ასევე შტრიხკოდის სკანერითა და მაგნიტური ბარათის წამკითხველის მეშვეობით.

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია რეპორტის ასლის ახალი ვარიანტის შენახვის ხარვეზი
- გასწორებულია გაყიდვების რეპორტში მარჟის გამოთვლის ხარვეზი
- გასწორებულია ნომენკლატურაზე საშემოსავლო განაკვეთის მონიშვნისას შესყიდვის დოკუმენტში სერიის მოძრაობის ხარვეზი, "საქონლის რაოდენობრივ აღრიცხვა" "საქონლის თვითღირებულება" რეგისტრებში
- გასწორებულია რეალიზაციის კორექტირების დოკუმენტში საფუძვლის გარეშე უკან დაბრუნების ოპერაციის დროს პარტიაზე ღირებულების მინიჭების ხარვეზი.
- გასწორებულია საცალო ინტერფეისში შეფუთვაზე მინიჭებული შტრიხკოდის დასკანერებისას რაოდენობის დათვლის ხარვეზი
- გასწორებულია ანგარიშგება „ფულადი სახსრები ანგარიშვალდებულ პირებთან“ დაფიქსირებული სორტირების ხარვეზი
- გასწორებულია საწყობის ღირებულებით შეფასებაში შეფუთვაზე დადგენილი ფასის გათვალისწინების ხარვეზი
- გასწორებულია საბანკო ბარათით გადახდის დოკუმენტში მყიდველის ანგარიშის გადავსების ხარვეზი
- გასწორებულია ხელფასის დარიცხვის ექსელით შეტვირთვისას დაკავების ანგარიშების შევსების ხარვეზი
- გასწორებულია უსასყიდლო რეალიზაციის დროს მოგების გადასახადის გადათვლის ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- შესაძლებელი გახდა ტერმინალების Z-ის ბეჭდვა POS ინტერფეისიდან
- შესაძლებელია გახდა ფულის გასვლა ბანკიდან დოკუმენტის გაფორმება დოკუმენტი შეკვეთა მომწოდებლის საფუძველზე
- შესყიდვის და რეალიზაციის დოკუმენტის ექსელით შეტვირთვაში გადახდის თარიღის შევსების გათვალისწინება
- შესაძლებელი გახდა შტრიხკოდის გენერირება ნომენკლატურის ბარათიდან, როდესაც არ არის ჩართული ალამი „ნომენკლატურის რამოდენიმე შტრიხკოდის გამოყენება“
- დაემატა წინასწარ განსაზღვრული „საცალო კლიენტი“
- რედაქტირებადი გახდა ნომენკლატურის და სხვა აქტივების ცხრილში ანგარიშები, როდესაც შესყიდვის დოკუმენტში მიბმულია საანგარიშსწორებო დოკუმენტი.